



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
მდივნის
განკარგულება №02-289/2017

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული ადგილობრივი სადამკვირვებლო
ორგანიზაციის „საერთაშორისო ასოციაცია ქალთა მოძრაობა თანასწორობისათვის“
დამკვირვებლის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ

ქ. თბილისი

2017 წელი 17 ოქტომბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 39-ე მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, მე-40 მუხლის მე-7 პუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 78-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, ვადგენ:

მუხლი 1. უარი ეთქვას დამკვირვებლად რეგისტრაციაზე ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის „საერთაშორისო ასოციაცია ქალთა მოძრაობა თანასწორობისათვის“ წარმომადგენელს - თემური თედიაშვილს, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 39-ე მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვინაიდან იგი არის საარჩევნო სუბიექტის ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა-ევროპული საქართველო“ წარმომადგენელი №24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიაში შემავალ №35 საუბნო საარჩევნო კომისიაში.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მისი გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი